ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1170090

ნომერი: AR1203262

თარიღი : 11.03.2014

გაცემის თარიღი : 14.03.2014

გაცნობის თარიღი : 18.03.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 49 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი მუჯირიშვილი პ/ნ 01006021615
- თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 6 ბ. 37

ორგანიზაცია:

- ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური კოდი: 204521794

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 513908
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.01.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა დადაგენილი სანებართვო პირობების დარღვევით/შეუსრულებლობით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის საკითხი, გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, შეაფასა საკითხთან დაკავშირებული მასალები, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში შემოსული 2014 წლის 11 მარტს N AR1203262 ელექტრონულ განცხადებაზე თანდართული ფოტომასალა, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილი ცნობა და დაადგინა შემდეგი:

ობიექტის მშენებლობა განხორციელდა პროექტის დარღვევით და ამ დარღვევების საფუძვრელზე მოხდა კ–2 კოეფიციენტის გადაჭარბება (მომატებული 4,2–ის ნაცვლად დღევანდელი მდგომარეობით კ–2 = 4,3–ს), რის შემდგომაც დამკვეთის მხრიდან არ ყოფილა დაყენებული მოთხოვნა ზონალურ საბჭოზე კ–2 კოეფიციენტის 4.3–მდე გაზრდის შესახებ, შესაბამისად არ მომხდარა მომატებული კ–2 საფუძველზე პროექტის შეთანხმება და ნებართვის გაცემა, ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე კი სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.